

85  
959



# საბჭოთა ხელთვნება



180

93


6

1959



# საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



6



სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თ ბ ი ლ ი ს ი

1959

1976



პ. ბლოკინი

ლენინის პორტრეტი

რედაქტორი — თორე ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი  
ვახტანგ ბერიძე, სკარლო გოგოძე, აკაკი დვალიშვი-  
ლი, ლაღა დონაძე, სერგო ზაქარიაძე, დიმიტრი  
ჯანელიძე, ვანო წულუკიძე (პ./მ. მდივანი).

# სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობას



აბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება სსრ კავშირის მწერალთა მესამე სრულად საკავშირო ყრილობის დელეგატებს და მრავალეროული საბჭოთა ლიტერატურის ყველა მოღვაწეს.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა მწერლების ყრილობა შეიკრიბა შესანიშნავ დროს, როცა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო შევიდა თავისი განვითარების ახალ, უმნიშვნელოვანეს პერიოდში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ერთუზიანობით იბრძვის იმისათვის, რომ განხორციელდეს სოციალისტური ეკონომიკის, კულტურის შედგომი აღმავლობისა და აყვავების და მშრომელთა კეთილდღობის გამაუმჯობესების დიდებული პროცესი, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო. ის, რაზეც საუფურობით თენებობდნენ კაცობრიობის ყველაზე მოწინავე და ყველაზე გაბედული მოაზროვნენი, ჩვენს ქვეყანაში რეალობა ხდება.

კომუნისტების გაშლილი მშენებლობის ისტორიული პროცესი ითვისდაწინებს არა მარტო უმაგალითო მასშტაბის პროგრესს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში, არამედ აგრეთვე ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აღმართის აღზრდას. კომუნისტებს ადამიანები ამუშებენ, და რაც უფრო მაღალი იქნება მილიონიანი მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებით იქნება ჩვენი წინსვლა. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილი საქმეში მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ლიტერატურას და ხელოვნებას. საბჭოთა მწერლების წინაშე დგას საბატო ამოცანა — აქტიურად მონაწილეობა მიიღონ მომავლის ადამიანის, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის სულეირი სახის ჩამოყალიბებაში. ისინი მოწოდებულნი არიან აღაფრთოვანონ ადამიანები კომუნისტისათვის საბრძოლველად, აღზარდონ ისინი კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით, ჩაუნერგონ მაღალი ზნეობრივი თვისებები, შეურყეველობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი.

საბჭოთა მწერლების მაღალი მოწოდებაა სიმართლით და მკაფიოდ დახატონ ხალხის შრომითი გამართის სილამაზე, კომუნისტისათვის ბრძოლის გრანდიოზულობა და სიდიადე, იყონ შეიღწიანი გეგმის მგზნებარე პროპაგანდისტები, მსნეობა და ენერჯია ჩაუნერგონ გულში საბჭოთა ადამიანებს, აღმოუხვრან კაპიტალიზმის ვადმონათობი ადამიანთა შეგნებაში, ხელი შეუწყონ ყოველივე იმის აღძვევას, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს ჩვენს წინსვლას. ამ გზაზე გაიზრდება კომუნისტის დიდი ხელოვნება — დიდ აზრთა, მხრავალე გერძობათა და დიად სულისკვეთებათა ხელოვნება, რომელსაც უნარი შეს-

წვეს ახალი დიდი საქმეებისათვის შთაგონოს კომუნისტის მშენებელი მრავალი მილიონობით ადამიანი.

ლიტერატურის როლი განსაკუთრებით პასუხსაგებია ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. ახალგაზრდობას ესაჭიროება წარმატები წიგნები, რომლებიც მას ზრდის კომუნისტური იდეურობის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, მიზნის მიღწევაში სიმტკიცის, შეუპოვრობის სულისკვეთებით, რომლებიც აშუქებენ მუშების, კომუნისტების, ინტელიგენციის შრომის რომანტიკას, უღებებენ შემოქმედების სიყვარულსა და ინიციატივას. ახალგაზრდა მკითხველი მოეღოს ისეთ წიგნებს, რომლებიც მისი სიტაბუის საიმედო მეგობარი, დამირგებელი და მრჩეველი გახდებიან.

კომუნისტის ლიტერატურა დიადი ლიტერატურა უნდა იყოს არა მარტო იდეური შინაარსის სიმდიდრით, არამედ მხატვრული სრულყოფითაც. დიდ იდეებს მაღალი ოსტატობა ესაჭიროება, გმირულ ხასიათებს — ღირსეული მხატვრული განსახიერება. ხალხს ესაჭიროება ლიტერატურა, რომელიც ზრდის და ასწავლის ადამიანს მხატვრული სახეების სიმართლითა და სილამაზით, სულიერად ამდიდრებს მას, უფართოებს გონების არეს, ხატავს კომუნისტური მშენებლობის პროცესში ადამიანთა შეგნებულობის ზრდას. ჩვენს საზოგადოებას განსაკუთრებით ესაჭიროება ლიტერატურა, რომელიც თანამედროვეობის აქტუალური თემები მკაფიოდ მხატვრულ განსახიერებს პოულობენ.

თანამედროვე პრობლემა ერთ-ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ოსტატობის სრულყოფა, ნაწარმოებთა მხატვრული თვისებისადმი მომთხოვნელობის სერიოზული გაძიერება. მანდივლი ოსტატობის მიღწევა შეიძლება ხალხის ცხოვრებასთან მწერლის განუყოფელი კავშირის საფუძველზე.

სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, ჩვენი გმირული ეპოქა კომუნისტის მშენებლობისა მხატვრული შემოქმედების ახალი უმაგალითო აყვავების უფართოეს პერსპექტივებს ქმნის. იდეებს, თემებსა და სახეების დაუბრეტელ სიმდიდრეს აძლევს მწერალს ცხოვრება საბჭოთა ხალხისა, რომელიც თავისი ყოველდღიური გმირული შრომით გარდაქმნის ქვეყანას, ავიღინებს კოლოსალურ ზუნებრივ სიმდიდრეს, ამნებს ახალ მძლავრ ინდუსტრიულ ცენტრებს. ქმნის მატერიალური და სულეირი დოვლათის სიუხვეს, განუწყვეტლივ სრულყოფს ტექნიკის და შემართებით იპურობს კოსმოსს!

ცხოვრება უცილობელი დამაჯერებლობით გვიჩვენებს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპების ურყევობას. ნაყოფიერებას, სოციალისტური რეალიზმისა, რომელიც სიმართლით და ისტორიულად კონკრეტულად ხატავს ჩვენი ეპოქის მთა-



ვარ შინაარსს — საზოგადოების წინსვლას კომუნისტურად.

საკვ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევოლუციონისტების უხეშ გამოლაშქრებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მწერლებმა დაგვანახეს იდეური მოწოდება, სიმტკიცე და ერთგულ კიდევ ცხადდებიან მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთგულება საბჭოთა ხალხისადმი.

ჩვენი პარტია, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ლიტერატურისა და ხელოვნების როლს საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში და რომელსაც მწერლები თავის საიმედო თანამეგობრებად მიიჩნია, პირდაპირ და ველახილად აკრიტიკებდა და უსწორებდა იმთა, ვინც მერყეობა გამოიჩინა, შეცდომები დაუშვა. ამ პრინციპულ კრიტიკას, რომელიც ნაკარნახევია ლიტერატურისათვის, მხატვრის შემოქმედებითი ბედისათვის ზრუნვით, დადებითი შედეგები მოჰყვა. კომუნისტური პარტია კვლავაც მუდმივ ზრუნვას გამოიჩინებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. მხატვრის მაღალი იდეურობა, ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ხალხის ცხოვრებასთან კავშირი, საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა და გრანდიოზულ პერსპექტივათა გაგება საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი წარმატებების საწინდარია. საბჭოთა ლიტერატურის ცხოველმყოფელი ძალაა განუწყურელი კავშირი კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისათვის ინტერნაციონალიზმის, მშრომელთა ძმური სოლიდარობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზრდისა და განმტკიცების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლის კეთილმოზილურ თემებს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა კაპიტალისტურ სისტემასთან ეკონომიური შეპირების გადაწყვეტ ეტაპში შევიდა. სოციალიზმმა მთელი კაცობრიობის წინაშე გასულა მშვიდობისა და შრომის დროშა, შექმნა იმის პირობები, რომ საზოგადოების ცხოვრებლად გამოირჩეოს მსოფლიო ომები, დასახა ხალხის მასების ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის მიღწევის პროგრამა. ამ ბრძოლაში საბჭოთა მწერლების მოვალეობაა ყველა ქვეყნის პროგრესულ მწერლებთან ერთად კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შემოქმედებით ახალი სამყაროს ძალების მხარეზე, რომლის გამარჯვება ისტორიულად გარდავლია.

რეაქციული და აგრესიული ძალები იმპერიალიზმისა, რომელიც თავის მზის ჩასვენებას განიცდის, ცდილობენ ყოველი საშუალებით შეუშალონ ხელი კაცობრიობის წინსვლას, სოციალიზმის ძალების ზრდას, ცდილობენ ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებ-

ულ ქვეყნებში. ისინი ამისათვის იყენებენ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ საშუალებებს, ახალი მსოფლიო ომით ემუქრებიან კაცობრიობას. ლიტერატურის უაღრესად ღმრთიანი, ყველა ხალხის ინტერესთა შესაბამისი ამოცანაა ამხილის იმპერიალიზმის ანტიხალხური არსი, მისი აგრესიული პოლიტიკა, ბურჟუაზიული იდეოლოგიების ყაღბი ცდები — შეუღამაზონ კაპიტალისტური სინამდვილე საბჭოთა ლიტერატორების წმიდა მოვალეობა თავიანთი მხატვრული სიტყვის ძალით ემსახუროს დიად ბრძოლას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ემსახუროს ჩვენი ახალგაზრდობისა და მთელი ხალხის აღზრდის სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარულს სულსიკეთებათ, იმისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკეთებით, რომ დაიცვან სოციალიზმის ისტორიული მონაბოვარნი.

საბჭოთა მწერლები მოწოდებული არიან კვლავაც დაუტყობოდ განამტკიცონ მეგობრობა და ძმური ერთიანობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მწერლებთან, ყველა პროგრესულ ლიტერატორთან, რომელთა შემოქმედება ემსახურება მშრომელი ადამიანის განათვისუფლებას სოციალური და ეროვნული ჩავერისაგან, ყოველი ღონისძიებათ დაუჭირონ მხარი რეალისტურ ხელოვნებას, რომელიც უპირისპირდება უიდეო ფორმალისტურ ხელოვნებას.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ლიტერატურის შემდგომი განვითარება და აყვავება, საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი ძალების შეკავშირება, მათი იდეური ერთიანობის განმტკიცება იმ დიადი და ბასუსხავები ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ჩვენი ქვეყანაში კომუნისტური გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა მწერლების კავშირისა და მხატვრული სიტყვის თვითუფლები ოსტატის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ ლიტერატურის ახალგაზრდა ძალების აღზრდისათვის, ხელი შეუწყონ ნიჭიერი ახალგაზრდობის ზრდას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაუბას ჯერ არასოდეს არა ჰყოლიათ მკითხველთა, მსმენელთა და მყურებელთა ისოდენ დიდი უღიბრობა გაზოტები, რაიონ, ტელევიზია და კინო მასობრივი ტრეიუნგებია, საიდანაც მწერლის სიტყვას ერთსა და იმავე დროს მილიონობით ადამიანი ისმენს.

იცხოვროს და იმუშაოს ხალხისათვის. მისი კეთილდღეობისათვის — ეს არის საბჭოთა მწერლის უმაღლესი მოწოდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმუნებს გამოთქვამს, რომ საბჭოთა მწერლები შექმნიან ახალ ნიჭიერ ნაწარმობებს, რომლებშიც ღირსეულად იქნება ასახული ჩვენი შესანიშნავი ეპოქის სიღარიბე, და მხურვალედ დასურვებს ჩვენს სახელოვან ლიტერატორებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი



აბ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობაზე

## ხალხის სამსახური საბჭოთა მწერლების მაღალი მოწოდებაა

ამხანაგ აბ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მწერალთა მესამე ყრილობაზე  
1959 წლის 22 მაისს



ვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის მწერალთა მესამე ყრილობა შეიკრიბა იმ დიდი საყოველთაო-სახალხო აღმავლობის არაჩვეულებრივად სასიხარულო დროს, რომელსაც განიცდის საბჭოთა სამშობლო, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში რომ შევიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში მწერალთა მესამე ყრილობისადმი, რომელიც ეს არის წაიკითხეს, გამოთქმულია უაღრესად გულწრფელი სურვილები საბჭოთა შემოქმედ

ინტელიგენციის ერთ-ერთი მოწინავე რაზმისადმი, ჩვენი მწერლებისადმი — ადამიანის სულის ინჟინერებისადმი.

პარტია, საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, კინემატოგრაფიის მუშაკებისა და საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა ესოდენვე შესანიშნავი რაზმების დიდ და ჩვენი ქვეყნისათვის შეტად საჭირო შრომას. ჩვენი მწერლები ცხოვრობენ ხალხის ცხოვრებაში, მათ ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ, ჰყავთ ყველაზე კეთილმოსურენ და მოყვარული მკითხველები — საბჭოთა ადამიანები. მაგრამ საბჭოთა



ვაწვდილი, რომ იქ, ზნელთის მხარეს, სინდისი აღარ გვეპოვნის მტრად.

(ზანგარბლივი ტკპი).

ხალხის საქმეები იმდენად გრანდიოზული და იმდენად მშვენიერია, რომ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ზეგრად უფრო მეტი რომ გააკეთოთ, ვიდრე გაკეთებულა, მაშინაც ეს ცოტა იქნებოდა, რათა გერქვენიზით საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მთელი მისი დიდი გაქანება, შემოქმედებითი შრომა, მრავალფეროვნება და ეს გასაკვირვებელი—ცხოვრება ყოველთვის შეუდარებლად უფრო მდიდარია, უფრო ღრმავა, ვიდრე ყველაზე საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია.

ის, რაც ჩვენმა ხალხმა შექმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აკვირებს, აოცებს მსოფლიოს. საბჭოთა ქვეყანა პარტიის X XI ყრილობის შემდეგ ისეთ დიდ და კარგ აღმაშენებლურ განცხადებას, რომ ერთბაშად ჩვენი მოხანო სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი დროის მთელ სიღაღისს, თქვენ, მეურნეებმა, იცით ძლიერი სიტყვების მოქება, აკრიტიკებთ თქვენს ხალხს, თუ ამას ვერ მოახერხებთ. თქვენ ალბათ მეც არ დამზოვავთ. (გამოცხადებულა დარბაზში, ტკპი). მაგრამ ვაიძარებ, რომ ძველი იძივნე ისეთი გამოხატაველი სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებდნენ, თუ რა კარგ აღმაშენებლურ განცხადებას ახლა საბჭოთა სამშობლო.

ის, რის მიღწევაც სახვს ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში, ვგაოცებს თავის დიდი გაქანებით. ჩვენი წარმატებანი სინარტულს უნერგავენ კულში მეგობრებს, შიშსა და დამბნულობას იწვევენ კომუნისტების მტრების ბანაკში. ეს წარმატებანი დამაშინებლად მოწოდებენ მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვებას, რომლებითაც ჩვენ ვგელმდგამებით, დიად საბჭოს, რომელსაც ვგმზასურებით. ვფიქრობ, რომ ეს მძლავრი აღმაშენებელი ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, თავბრუს არ დავჯავებთ.

გამარჯვებანი, წარმატებანი თავისთავად როდი მოდიან — ისინი უნდა მოვიპოვო მეღადარი, დასაბული შრომით, ბრძოლით. ჩვენ ვიჭყვს ყველაფერი, რაც საჭიროა შეიღწეოთ ჩვენი წარმატებით შესუსტებისათვის, და ჩვენი ხალხი გამსჭვალულია რწმენით, რომ მიაღწევს თავის დიდ მიზანს.

ხალხის სამსახური მწერალთა ყველაზე მაღალი მოწოდებაა. ადამიანისათვის არ არის იმაზე დიდი დებნიერება, ვიდრე ცხოვრობდე კოლექტივში. შრომობდე კოლექტივით ერთად და შეგებები გეპოვებს, რომ შრომობ შენი საზოგადოების საკეთილდღეოდ, ხალხის საკეთილდღეოდ.

ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ ჩემი სიყრმის უახლოესი მეგობრის მუშა პანტელეი მახინის ლექსი. ეს ლექსი დაწერილია ამ ორმოცდაათი წლის წინათ. მე მსურს ეს ლექსი წაგიკითხოთ სრულიადაც არა იმისათვის, რომ გიჩვენოთ პოეზიის ნიმუში. გვოვნე, თქვენ ჩემზე ახლოთ, როგორ უწიოთ ლექსებს. (სიცოლი დარბაზში, ტკპი). ჩემი მეგობრის ლექსებში გაითქმენილი ამ დროის ტკიანობა, მთაშორეულ მუშის ფიქრები ადამიანის ცხოვრების მიზნის შესახებ, ცხადია, ასეთი მისწრაფებით და სურვილით ცხოვრობდა და ცხოვრობს შრომის ბეგრი ადამიანი.

მოისმინეთ, ამხანაგებო, რაზე წერდა ერთ-ერთ თავის ლექსში, რომელიც დაბეჭდილია პარტიულ ჟურნალ „პროკუბანსკი სტამში“, მუშა პოეტის პანტელეი მახინია:

მე მიყვარს წიგნი, მისი ალღო  
ემოციების ცეცხლში მსურს ვეფლო,  
რომ მოვლდეს ცხოვრების ალით  
ვიწოდე, მაგრამ არ დავიფრფლო.  
რომ ჩემი ძალა, სწრაფვა მარადი  
ხალხს ცეცხლს შეუბდე ვადავფაროს,  
გებრძოდე ზნელის კუბის კარამდე,  
ღრთ უშვად ხელში არ ვამპაროს.  
ამბობ, ვალად გვღვებს ჩვენს უნტარტის  
თაბის ნაშრომს ჩვენსა წვეთ-წვეთად

მე მომწონს ეს გულიანი აღმობხადი სიტყვები. ამ მინდა ვიყო ამ ლექსის მსაჯული პოეზიის თვალსაზრისით, და თქვენც ალბათ არ იქნებით მეტად მაყარი მსაჯულები. ავტორი დაწამები პოეტია, მუშა მემხატნე, რომლის ნიჭი უფრო სრულად გაიფურცენებოდა, მისი სი-ცოცხლე ტრავადობად რომ არ შეწყვეტილიყო. სამოქალაქო ომის დროს იგი პეტლურევიშმა მოკლეს. ამ როგორ ესმოდა მუშა პოეტის თავისი სიცოცხლის აზრი, რა მიზანდა თავისი შრომის მიზანდა. ეს იყო ძველ რუსეთში, სადაც ადამიანი უფუფლებო იყო და ხალხი ცალ-ჯანხისი უღელავებო გმინავდა. მაგრამ რა მშვენიერი ჯგავანისი იქნება ყოველი თქვენთვის წინაშე ხალხისათვის შემოქმედების დიად საქმეში!

საბჭოთა მწერლებმა შექმნეს ბეგრი კარგი ნაწარმოებები, რომლებიც სიმართლით ხატავენ ცხოვრების სურათებს, მოგვიწოდებენ ბრძოლისათვის. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ თვით მწერალიც კი, რომლებიც, მისი აზრით, კარგად დაწერა, ყოველთვის როდია გამყოფილი თავისი ნაწარმოებით. ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა ნაწარმოები როდი იმსახურებს მკითხველის მაღალ შეფასებას. მე წაგიკითხე ზოგიერთი ნაწარმოები, რომლებიც გამოქმენილია უკანასკნელ დროს. მაგრამ წაგიკითხე, სამწუხაროდ, ცოტა. და არა იმიტომ, რომ არა მაქვს მოთხოვნილება, არა მაქვს კითხვის სურვილი. მე ალბათ თქვენზე ნაკლებს როდი ვეითხოვებ, მაგრამ ვეითხოვებ ელჩების ცნობებს, საგარეო საქმეთა მინისტრების ნოტებს (გამოცხადებულა დარბაზში, ტკპი), ვეითხოვებ იმას, თუ რა თქვა ამერიკის ჟურნალისტებმა პრეზიდენტმა, რა თქვა ამა თუ იმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა: ასეთ ლიტერატურის ვეითხოვებ ვაგიკითხოთ მეტს, ვიდრე თქვენს ნაწარმოებებს. რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ეს ლიტერატურა უფრო მიყვარს, ვიდრე თქვენი წიგნები (გამოცხადებულა დარბაზში), არამედ იმიტომ, რომ ჩემი მდგომარეობაში შეუძლებელია იგი არ წაგიკითხოთ. (ტკპი). თუ ზოგიერთ თქვენს ნაწარმოებს ვერ წაგიკითხავ, იმედი მაქვს, არ დამარბახავთ, მაგრამ რომელიღაც დოკუმენტი, რომ არ წაგიკითხო, შეიძლება ზიანი მოუვიდეს ჩვენს ქვეყანას. სწორედ ამიტომ მიხედვით მრავალი ტომი ასეთი ლიტერატურის წაგიკითხა. (გამოცხადებულა დარბაზში, ერთხელუაინ ტკპი).

როცა წიგნებს ვეითხოვებ, ზოგი ვალღვებს, საიმოვნებას ვგვირს, ზოგი ვაწვს გულისწიერობისა და ამფლოების განძობას იწვევს ამა თუ იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც ასახულია ამ ნაწარმოებში. ზოგ წიგნს კითხულობ, თვალბევი გეხუებუნა. ვინდა წაგიკითხო, იმიტომ რომ ამხანაგებო, რომლებმაც იგი წაიკითხეს, გელაპარაკებან ამ წიგნზე, გინდა შენი აზრი გქონდეს მის შესახებ, მაგრამ ძლივს კითხულობ, თვალბევი კვლავ გეხუებუნა. მოიფშენებ თვალბებს, კვლავ დაწყებ კითხვას, თვალბევი ისევ გეხუებუნა. (სიცოლი დარბაზში). მაინც რომ წაგიკითხო წიგნი, ზოგჯერ იღებ კანძობას. რამდენჯერმე იჩხულებ, რომ გამოფხიზლდე, რათა ბოლომდე წაგიკითხო. (სიცოლი დარბაზში).

ვინ არის დამნაშავე? ავტორი იტყვის. მკითხველი, მკითხველი ამბობს, მწერალი. ვინ არის მსაჯული? მსაჯული ხალხია. თუ მე ან ვინმე სხვას წიგნი არ მოეწონა—ეს კიდევ არაფერია, იმიტომ, რომ სხვადსხვა ადამიანს სხვადასხვანაირი გემოვნება და ხასიათი აქვს. მაგრამ როცა მკითხველთა უმრავლესობის შექმნება აზრი წიგნის შესახებ, ეს უკვე წიგნის შეფასებაა.

ოდესღაც წაგიკითხავს რუბაქაინის თხზულება „წიგნებს შორის“. საერთოდ მე ვერ წაგიკითხავს მისი ნაწარმოები და პატებს ვეცდი ამ მწერლის მიმართ ანალიზს უკეთეს მკითხველის ფსიქოლოგიას და ამტიკებს, რომ



ზოგ კიდევაც ამინებს წიგნის მოცულობა. ზოგი წიგნი, ძალიან კარგი შინაარსის წიგნიც კი, აფრთხობს მკითხველს: შემდეგაც იგი წიგნს, დანახავს, რომ დიდი მოცულობისა და მამოხვე უარს ამბობს მის წაითხნავს. შენაძლოა ზოგმა მეც ისეთ მკითხველს მიმაპოუინოს, რომლებზეც რატანის დაბარავდება. როგორც უნდა იყოს, მამატონ იმ მწერლებმა, ვისი წიგნების წაითხნასაც თავს ვაძაღვლებ. (გამოცხვლება დარბაზში).

სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ამა თუ იმ წიგნისადმი, როგორც ჩანს, ბუნებრივი მოვლენაა. ყველა რომ ერთნაირად წერდეს, მამონ ადარ იქნებოდა ცუდი და კარგი წიგნები. (გამოცხვლება დარბაზში). აქ თავისებური კანონზომიერებაა. საუკეთესო წიგნს ყველა მწერალი როდი ქმნის, საკმარ რაოდენობით არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუალო წიგნები. არის უარესი წიგნებიც, რომლებსაც მწერალი დამწყები მწერლები როდი წერენ. (გამოცხვლება დარბაზში). აქ უნდა შევიხიშო: თუ დამწყები მწერალი უშვებს ცუდ, არასაინტერესო წიგნს, ეს ასე თუ ისე გასაკებია. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მარტო დამწყები მწერალი როდი წევალბის წიგნის შესაქმნელად, ხოლო შემდეგ ასეთი წიგნით ტანჯავს მკითხველს, — ეს უკვე საწყენია. (გამოცხვლება დარბაზში, ტაში).

ამხანაგებო! ზოგიერთ ლიტერატურულ წრეებში ამა უკანასკნელი წლების მამძილე გარბა სიტყვაა „შემლამაზებულები“. ეს მეტსახელი სურთ მიაკარნ იმ მწერლებს, რომლებიც ვეინიერებენ ახლის, კომუნისტრის ცხოველყოფილ ძალას. ვფიქრობ, საჭირო არ არის ეთიხართ, თუ რა ვაძღვრულად ვაშკარაებთ ჩვენს ნაკლოვანებებს. ახლა, როცა უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რას ჩვენ სასტიკად და უღმობილად გავაპირებდით წარსულის უარყოფითი მოვლენები, ცოტადა დარბა ისეთი ადამიანი, რომლებსაც არ ეძნოდა, რომ საჭიროა შეგვიერთ, უფობილო კრიტიკა ყოველთვის იმის, რაც დაეკრძრებოდა იყო მართონების კულტურა. პარტიამ, ხალხმა ვაძღვრული დავებ წარსულის შეუწყნარებელი მოვლენები და ნაკლოვანებები, რათა, როგორც იტყვიან, ლოდქვემ დავებრბა გუზინდელი არასწორი მოქმედება, და ექციათ, რომ ასეთი მოვლენები და საქმედი ადარ დაბრუნდება არც პარტიამ, არც ჩვენს ქვეყანაში. (მქუხარე ტაში).

მაგრამ, როცა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყეს მუშაობა ლენინური პრინციპების, ლენინური ნორმების არსდასვლად პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ყველამ როდი ვაიო სწორად პარტიის XX ყროლობის ვადაწყვეტილებთან. იცვენ ისეთი ადამიანები პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც კი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ჩვენი პარტიის ბაზს. თქვენ იციო თუ, უფრო ვეიან ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების უთანხმობა პარტიის გენერალურ ხაზთან დამთარდა ანტიკონტრული გულის შექმნის, რომლებიც არ ვილაპარაკებ. ყველა თქვენგანმა იცის, თუ რა ბრძოლა ვადაიხდა კომუნისტურმა პარტიამ ლენინური პრინციპების დავდგინებისას პარტიისა და ქვეყნის მთელ ცხოვრებაში. საწყისი ფესვები, საწყისთა საწყისი იყო ბრძოლა ახლისა ძველთან, ბრძოლა ძაღებისა, რომლებიც მოქმედებენ კომუნისტური პრინციპების ვაძაფრეებისათვის, ამ პრინციპების დამამინების წინააღმდეგ.

და აი ლიტერატურულ წრეში ვაჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ როგორცდა სახელი გაუტეხონ მწერლებს, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში ვეინიერებენ კომუნისტური პრინციპებიდან, ესე იგი ახლის, კომუნისტრის ვაძაფრეებას. არ დავასახელებ აქ ვერვინს რომელი „შემლამაზებულთა“ ვეარებს, არ ვეაფარებ მათს შემომედეგებს. ეს არც არის საჭირო, მით უმეტეს მე არ უნდა ვენა ეს, — მე ხოლო ლიტერატურული კრებების არა ვარ.

კარგ ლიტერატურულ კრიტიკის ყველაზე თვალსაჩინო მწერლისთვისაც კი შეუძლია ახლანდ ბევრი რამ ვააკეთოს — ქვეყნის კრიტიკული სატირა — ეს თითქმის თავისებური არყის ცოცხია იმ ადამიანისათვის, რომელსაც

უყვარს აბანოში სიარული და ორთქლი გატარება. იგი ორთქლში ტარდება და ცოცხს იტყავუნებს. ხოლო თითქმის თუ არ უნდა ეს ვაკეთოს, სხვა ვაუკულებს. ორთქლში ვატარება და ცოცხს ტყავიანი კი ცუდი საქმე როლია, იმიტომ რომ იხსნება ფორები და სხეული უკეთ სუნტეპს, სიცოცხლე უფრო ადვილი ხდება. (სიცოცხლე დარბაზში, ერისთულაძის ტაში).

თხოვთ, ამხანაგებო, სწორად ვამბოთ. სულაც არ მინდა დავეცა ადამიანები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ისე ვეგაბებენ მოვლენებს, რომ სწყვდებიან ცოცხლად ცხოვრებას. აიღეთ, მაგალითად, ზოგიერთი წიგნი, რომლებიც ცხოვრება დასატულია ისე შელამაზებულად, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს. სავეთა, რომ ასეთმა ნაწარმოებებმა სარგებლობა მოვიტანოს. მაგრამ მე მინდა ისეთ მწერლებს დაუფრო მზარი, რომლებსაც რატომღაც „შემლამაზებულებს“ უფობდენ იმის ვაბო, რომ თავიანთ ნაწარმოებებს საფუძვლად უღებენ დაღვთი გმირების ჩვენებას. ვანა კარგი და საჭირო არ არის ისეთი ნაწარმოები, რომელიც ავტორი სიმართლით ვეინიერებს დაღვთი გმირებს? ასეთ ავტორებს ყველაფერი როდი მოსწონთ თავიანთ დაღვთი გმირებს, ისინი ადამიანებს ხედავენ ისეთებს, როგორც ეს ადამიანები არიან ცხოვრებაში — ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში და შრომაში. და ეს კანონზომიერი და სწორია. ადამიანები უნდა აღვსარდით კარგი მაგალითებით, ცხოვრებაში და დაღვთის ჩენებით ვადავით მომავლის გზა.

მაგალითის ძალა დიდი ძალაა, ამხანაგებო! რასაკვირველია, შეიძლება ვეცხოვრო, სატრის რაღა ვუყოთ. ჩვენი არც სატრა ყოფილა როდისმე აპოლიტიკური; იგი ერთ-ერთი ყველაზე მასარი იარაღია. სატრა დასცინის ამა თუ იმ მანკიერებას, ვაღმონაშთებსა და ნაკლოვანებებს და თავიანთ აცოცხლ ადამიანებს სენს, ეხმარება ადამიანებს აღმთხვრებს ნაკლოვანებაში. ამირავად, სატრა კვლავაც უნდა იყოს ჩვენი პარტიისა და ხალხის იარაღი. სატრამ უნდა ანადგუროს ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნისმისაკენ.

ამიტომ მთლიანად იმ მწერალთა მხარეზე ვარ, რომლებიც ვეინიერებენ ახლის ცხოველყოფილ ძალას. ახლის ვაძაფრეებას ვეძლე, მწერლებს, რომლებიც მტკიცედ ვეცდნობიან ცხოვრების რეალურ კონკრეტულ მოვლენებსა და პროცესებს, სურთ ემსახურონ თავიანთ ხალხს, ის-ყოფიან შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იარაღად ვამოადგება ჩვენს პარტიას. (ხანგრძლივი ტაში). ვანა ეს „შემლამაზებულები“ არიან? არა. ესენი არიან ახლის ვაძაფრეებისათვის, ჩვენი პარტიის საქმისათვის, კომუნისმისაკენ მტკიცედ მიმავალი ჩვენი ხალხის საქმისათვის მეტროძლები.

მაგრამ თუ არიან „შემლამაზებულები“, ცხადია, არა-შემლამაზებულებიც ყოფილან. ვინდა არიან ეს არაშემლამაზებულები? ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ლიტერატურის მთავარი ამოცანა თითქმის ის იყოს, რომ ეძებოს ყოველგვარი მანკიერება და ნაკლოვანებაში. ამასთან უფულებელის საბჭოთა საზოგადოების დღივი მონაპოვარი. მამ ყური მივღეთ, ვეფრასო მეგობრებო, თუ ვინცე აშკარაებს და ამტკიცებს ნაკლოვანებებსა და მანკიერებას, ვისაც ამ დროს ხელი არ უშეკავებდება, ამას აკეთებს პარტია, ამას აკეთებს მისი ცენტრალური კომიტეტი. (მქუხარე ტაში).

მიგმართონ თვით ცხოვრებას, ვანა ვინმე ვევაძლებდა ვეგვეთქვინან მოხსენება პარტიის XX ყროლობაზე პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ. ვამოგვე-ამკავებინა დაშვებული ნაკლოვანებას, რომლებიც დაკვეთრებულია ამ მოვლენასთან? ვანა ვინმე ძალით მოგვეყოზინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი რეკამ პუნქუმები, სადაც უღმობილად ვაშკარაყვდით ნაკლოვანებებს, მთელი ძალით ვეგმობით მათ, ვსახვდით და ვამტკიცებდით ამ ნაკლოვანებათა აღმთხვრის ღონისძიებებს, ვკვლავდით ახლის გზებს? სულაც ვაიყენ. ჩვენ



რომ ლენინელები, ბოლშევიკები არ ვყოფილიყავით, შეგველო ყველაფერი შეგველაპარაკებინა, ყოველივე ძველი დაგვეხატა როგორც ახალი და მშვენიერი, არ დაგვესახელებინა ძველის შეცდომები, არ გვეჩვენებინა ამ შეცდომების თაობაზე წერილი ზიანი. მაგრამ არა. ჩვენ ვლასარაკობდით ძველის ნაკლოვანებებზე. ვაშკარავედით წარსულის შეცდომებს იმისათვის, რომ ახლისადმი მივეყვარებოდა. ამანათა უნდა ვიყავით. წარსულის მიძიმე შეცდომების გამოყრება არა და დაგვეშა. საჭირო იყო ბოლომდე გამოგვეაშკარავებინა არსებული ნაკლოვანებანი, რათა დამავებულბოლის გრძობისა ზოლი ამასეული იმისადმი, რამაც გერო მოჭა. პარტია ყოველივე ემის აკეთებდა იმისათვის, რომ განხივითარება ხალხის შემოქმედებით ძალბი. ღვა ვაუხსა ახლისათვის. განხივითარებებისა ის, რაც აღინა ლენინმა გვიანდერმა, და წაყვესა ჩვენი ქვეყანა ლენინისად ვინ, კომუნისზისკენ. (ხანგრძლივი ტაში).

მე უკვე ვიცი, რომ არ დავასახელებ არც შემლამაზებლების გვაგებს, არც არაშემლამაზებლების, ესე იგი იმ ადამიანების გვაგებს, რომლებსაც სურთ დაგვანახონ მხოლოდ უარყოფითი. მაგრამ უარყოფითის გვაღლივით არა მარტო ჰობინდან ვერ ამოვა ადამიანი, არამედ კარვ ზარუჭ შორის ვერ წვა. (გამოცოცხლება დარბაზში).

მაბატოვ, შეიძლება მე დაღუფა ზოგიერთი არც თუ მთლად ჩვეულებრივი შედარება. მაგრამ თქვეც, მწერტეში, ზოგჯერ არ ერიდებით მაგარ გამოთქმებს, როცა საჭიროა. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში). და სწორადაც იქცევით.

ჰოდა აი, როცა მწერალი შეუღლებს ადამიანის გამოხსახვას, მთელი საქმი ის არის, თუ როგორ შეხედავს ადამიანს. თუ ავიღებთ ადამიანს საზოგადოებას, ძლიერ მნიშვნელოვანია, რა მხრივ განხივითავს მას. შეიძლება ავიღოთ ყველაზე უკეთესი ადამიანი, მაგრამ გამოფასებით იგი სხვადსახანაირად, იმის მიხედვით, თუ მის რომელ ნივთიერებას და თვისებებს წამოეწვეთ წინ. მაგალითისათვის, მწერალი იწყებს ადამიანის გახმასახვას, რომელსაც აქვს ყველა ღირსება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მასთან შედის არა საპარადო შესესივლით, არამედ უკან ეზოანდა, უკანა კართი, და იგიდან იწყებს ნისი ცხოვრების უდაბტავს, მამინ აქედან, რა თქმა უნდა, კარგი არაფერი გამოვა. განა შეიძლება ასეთი მიღგომისს კარგი არა დააწერიო კაცზე? არა. ასეთ უდაბტავს მტკისმეტად თავისებური თვალსაზრისი ან, უფრო სწორად რომ თქვათ, როგორც ვორიკ ამბობდა, „ქვასაზრისი“ ექნება ადამიანზე. (გამოცოცხლება დარბაზში. საუბრო ტაში).

ასევეა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების გამობატვავშიც, რომელიც მილიონობით ადამიანისაგან შედგება. იქ თქვენ ნახეთ ბოლოლით სბეტაც ადამიანისაც, მაგრამ არიან აგრეთვე მახინჯები — აშკარა კაცისმკვლელები, თალოლიები. სამწუხაროდ, ასეთი დამახინჯი კიდევ არიან ჩვენი საზოგადოებაში, იმტორმ რომ ჩვენც ცხოვრობით სოციალიზმთან კომუნისზმზე გადასვლის პერიოდში და გვაქვს ბევრი ნაკლი, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვარაწველი წარსულისაგან.

ადამიანი ხომ ერთბაშად არ იბადება კომუნისტურ ადამიანად. ასეთ კაცს ჯერ ვერაინ ვერ იცნობს და თქვენ იგი არ გინახავთ. მისი გამოვლენა არ შეიძლება. იგი შეიქმნება კომუნისტური საზოგადოების აშენების პროცესში, სოციალიზმიდან კომუნისზმზე გადასვლის დამთარების პროცესში. მაგრამ რა არის „დამთარება“? აქ არ არის უფითით ვაგებებული საზღარი, რომ შეიღებოდეს ვთქვათ, აქ თავლება სოციალიზმი და იწყება კომუნისზმი. არა, ასე არ შეიძლება თქმა. სოციალიზმიდან კომუნისზმზე გადასვლის პროცესი ხანგრძლივი და მტად რთული პროცესია.

ზოგიერთმა მწერალმა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა ისე გაიკეთა, რომ მათ იერიშები უნდა მიჰქონდეთ ეკრეთოსივლებულ შემლამაზებლებზე და ამით თითქოს ეს-

მარებოდნენ პარტიას, რომელმაც გამოავლინა ნაკლოვანებანი. მაგრამ რა გირბებს შესახებ მათ ბოტბა; როგორ წარმოუღებინათ მათ ჩვენი საზოგადოება?

მე უკვე მომიხდა მელაპარაკა ლენინეცხსა და მის ვახმარებულ რობანზე „არა პურიდა ერთობა“, რომელზეც ზოგიერთი ჩვენი ავისმომლოე უცხოეთში ამბობდა, რომ მისი კინადა შეიქმნეს საწარმოებში, რომელიც რუსულმა ლიტერატურამ მოგვცა. მაგრამ ვაიდა სამი წელი. ახლა ვინც კითხულობს ამ ნაწარმოებს, მის ესაჭიროება იაქ? და სწორედ ხომ იქ იყო მჭერული ასეთი სუნიანი თანაყოლი. რა თქმა უნდა, იქ ყველადაც უცლად რთლი იყო ნათქვამი. მე წავიკითხე ეს წიგნი და, უნდა ითქვას, უქინისათავოდ წავიკითხე. (გამოცოცხლება დარბაზში). იქ ზოგიერთი ფურცელი ყურადღების ღირსია.

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, რომელმაც ჩემზე ადრე წაიკითხა ეს ნაწარმოები, მეუბნებოდა — წაიკითხე მის აქვს ისეთი მსჯელობანი, რომლებიც თითქოს შენგან მოუსხებინა!

დაახ. ლენინეცხმა მარჯვედ შენიშნა ზოგიერთი უარყოფითი მოვლენა, მაგრამ გამობატვა ვახვიაღებულად, განგებ განზოგადებულად. მე უკვე ვილაპარაკე ამაზე და ახლა მიმანია, რომ დღენივეც არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე. (ტაში).

მართალია, მე არასოდეს არ მიხსნებაც კაცი, მსურდა მესაუბრა მასთან, მაგრამ სულ არ მეცალა. ან დააპირებ მის მიღებას, აქ საჭიროა შეხედვან ხან ელს, ხან რომელიღაც დღედაც წავიკითხე. (გამოცოცხლება დარბაზში). ჰოდა მინც არ მომიხდა მასთან საუბარი.

მინც რა არის ასეთი ლიტერატურის ნაკლი? მე მარტო ლენინეცხზე რთლი ვლაპარაკობ, არამედ სხვა მწერტებზეც, რომლებიც შეუღლებენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების გამობატვას თავიანთი „ქვასაზრისი“. როგორც ჩანს, მათაც სურდათ დახმარებოდნენ პარტიას, თავიანთ ხალხს უარყოფითი მოვლენების დანეგავდათ, მაგრამ როცა მათ დახატეს დამახინჯებული, ვახვიაღებულ სურათი, ამ სურათსა ერთბაშად მიიპყრო ჩვენი მტრების და არა მეგობრების ყურადღება. დაღვა ისეთი სიმართლე, რომ ნორმალური ორგანიზმს არ შეეძლო მისი ატანა, თუ ნიშნავის სპირტი არ ექმნა. მწერტები, რომლებიც ამკვიდრებენ ახალი საზოგადოების სიმართლეს, უცვლად ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია ასეთი დამახინჯებული, ყალბი აღწერის არაკანონზომიერებაში, რასაც ცხოვრების გამობატვას პრეტენზია ჰქონდა, აღმუთოდენ, საპართლიანად ამხედრდენ ამის წინააღმდეგ, დაიწყეთ ბრძოლა.

მეტი ვიკვენ ვართ ჩვენ ამ ბრძოლაში? რა თქმა უნდა, იმ მწერტებისაგან და იმ მიმართულებისაგან, რომლებიც საფუძვლად იღებენ დადებით მოვლენებს, ამ დადებით მოვლენებზე შრომის ბათობს, აღანთებენ ადამიანთა გულს, იწყებენ მათ წინ, უჩვენებენ ახალი სამყაროს გზებს. დადებითი გმობრების სახეებით ისინი თითქოს ვახვიაღებენ ადამიანთა საუკეთესო ნიშნებსა და თვისებებს, უპირდაპირებენ მათ უარყოფით სახეებს, გვიჩვენებენ ახლის ბრძოლა ძველის წინააღმდეგ და ახლის გარდულად გამარჯვებას. გვიჩვენებენ რა დადებითი, ისინი ამასთან ერთად გმობენ იმას, რაც უკუაღებულ უნდა იქნას. მართია, რომ ასეთი მიღგომა ცხოვრების მოვლენების გამობატვასად არც შეიძლება.

ყოველ შემთხვევაში მე ამას ვიკვენ და ასე მქმნის ეს საკითხები. ამ როგორია ჩემი დამოკიდებულება ეკრეთოსივლებული შემლამაზებლებისადმი. თუმცა მწერალი არა ვარ, მაგრამ რამდენაღმე თავს ამ ჯგუფს ვაკუენებ. (მხიარული გამოცოცხლება, საყრდენ ტაში).

მინდა, ამხანაგებო, გამოთქვა კიდევ რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ექნება არცთუ შორეული წარსულის დახსიათებას. თქვენს წერტი ახლა კიდევ წასამწენია იმ ბრძოლის ნაშთები, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ საკმაოდ მწვავე ხასიათი ჰქონდა. ეს იყო პრინციპული იღვური

ბრძოლა რევოლუციონისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ უხეშად გაეღმავრათ პარტიის ხაზის წინააღმდეგ. ასეთი გამოღმავრების წინააღმდეგ ამხედრდა მთელი მწერალთა საზოგადოებრიობა. მწერალთა უდიდესმა უმრავლესობამ გადაჭრით გალაშქრა რევოლუციონისტურ შეხედულებებზე მატარებლების წინააღმდეგ. გაუხეშადმდებლა შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეურმა ჩხუბმა ასე თუ ისე ჩაითარა ყველა მწერალი. მართალია, სხვადასხვა ადამიანი ამ ბრძოლას ეწეოდა სხვადასხვა ზომის აქტივობით და სხვადასხვა ხერხით.

ზოგიერთმა ლიტერატორმა ფიცხად შეუერთა „მოწინააღმდეგის“ ხანგრძლივ საცეცხლე წიქრს და ფორმულურ ტერმინების ნებით რომ ვთქვათ, შეიძლება და მათთვის გვეწოდებინა შეავტომბატონო. ისინი მოქმედებდნენ აქტიურად და გაბედულად. არ ეშინოდნენ ბრძოლის თანხლებებისა და პირდაპირ ხვდებოდნენ მათ. ეს კარგი თვისებებია. ადამიანებმა, რომლებიც აქტიურად გამოვიდნენ ასეთ ბრძოლაში, დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. ახლა ეს ბრძოლა უკან დარჩა. რევოლუციონისტულ შეხედულებათა და განწყობილებათა მატარებლებმა საერთო იდეურ განავადგურება განიცადეს, ბრძოლა დამთავრდა და უკვე დაფრინდნენ, როგორც ნათქვამია, „ზოგიერთმა ანგელოზებმა“, ამგვად წარმოებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კრიტიკების მოშუშების პროცესი. და ის ლიტერატორები, რომლებსაც მაშინ თვითონი „ექსპანსიონის“ სურთ და განხილვა ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, ახლა ისწრაფვიან მარჯვ დავიწყონ, რომ სერიოზულ შეცდომებს სწავლიდნენ.

საჭიროა, ჩემი აზრით, შევეუსუბუქოთ ამ ამხანაგებს მცდარი შეხედულებებიდან სწორ, პრიციპულ პოზიციებზე გადასვლა. არ უნდა მოვიხსენიოთ ისინი ავი სიტყვით, ხაზი არ უნდა გაუვსვთ მათს ყოფილ შეცდომებს, მუდამ არ უნდა მიუთითებდეთ მათზე. აქედან საქართველოა ქმენება მხოლოდ ჩვენს საერთო საქმეს. (ტაშვი). საჭირო არ არის მოვარდობდეთ ამას, მაგრამ არც უნდა დავიწყოთ, (ტაშვი). როგორც იტყვიან, ყოველი შემთხვევისათვის უნდა გადავიხეოთ ნასაკე, რათა საჭიროების დროს შევხედოთ და გავისხეოთ. რამდენი ნასაკე იქ და ეს ნასაკეები ვის ენება. (გამოსოცხლება დარბაზში).

ლიტერატორთა შორის არიან კიდევ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც სურთ თავს დაესხნენ „შეავტომბატონებს“, რომლებიც რევოლუციონისტების წინააღმდეგ განაღმებულ იდეურ ბრძოლაში ყველაზე აქტიურად გამოდიოდნენ, სწორ, პარტიულ პოზიციებს იცავდნენ. ზოგიერთს, როგორც ჩანს, სურს საქმი ისე წარმოიდგინოს, რომ ყველაფერში დამანაშავენი არიან სწორად ეს ამხანაგები. მაგრამ ეს რა თქმა უნდა, ძირშივე არასწორია.

პრინციპული პოზიციები უნდა დავიცვათ, მტკიცე იდეურ ბრძოლა უნდა გაუწამოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც უხეშად იღმავრებს პარტიული ხაზის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, გაცხარებულ ბრძოლაში ხშირად ისეა ხოლმე, რომ ყველას მოხდება, ვინც ბრძოლაში ემბება.

თქვენ ალბათ ცხოვრებით არაერთგვარს შეგხედვრიათ კენახათ ბუბუბის ჩხუბი. მონაწილეობა მივიღეთ ამ ჩხუბში. მე კი შანტაჟში მონაწილეობა ჩხუბზე მინახავს. იყო ხოლმე შემთხვევები, როცა კურსკლები და ორიოდელები ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ამ ჩხუბის საცქერლად ზოგიერთი ადრევე გადიოდა, გადაცემა და განზე და უცქერდა, თუ როგორ ჩაღებოდა ბრძოლა. რა თქმა უნდა, ეს იყო ძველ, რევოლუციონისტულ დროს. ეს იყო, ასე ვთქვათ, ხაზი კიდევ უფრო მისა და უფრო მისისათვის. მაგრამ ასე იყო.

მიღწესი ვინები ასეთი გაურთლებლისათვის, მაგრამ რამდენადმე იდეურ ბრძოლაშიც ხდება ამგვარი რამ. როცა შეტაკება იწყება, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს შუაგის თანამართლებინი, რომლებსაც სურთ რამენაირად მიიღონ მონაწილეობა ბრძოლაში. რით გამოიხატება ზოგჯერ ეს მონაწილეობა? თანამართლებინი ხშირად სურთ გაშველება. ისინი ეწვევიან ერთ მიჩნუბარს ერთ მხარეს, ხოლო

მეორეს — მეორე მხარეს. მიჩნუბრებს კი სურთ ვანთავა-სუფლდნენ და, შესაძლოა, იდაყვით ან კიდევ სხვა რამით ურტყავენ გამშველვლებს. როცა ჩხუბი გათავდა, ის, ვინც გაშველვებს ცდილობდა, ჩივის, რომ მას ვიღაცამ აწყენინა. მას კითხვებია: შენ მონაწილეობა მიიღე ამ ჩხუბში? იგი უპასუხებს: არა, არ მიმიღია მონაწილეობა, მე გაშველვები. მაგრამ შენ ხომ ეწეოდი ერთს, გუჭირა იგი, ხელ-საფეხი უჭერდი, ამ დროს კი მას თავს ეცხობდნენ, ჰოდა მას, თავს რომ იცავდა, შენ ვითავა.

დაახლოებით ასეთი რამ ხდება იდეურ ბრძოლაშიც, პოლიტიკურ შეტაკებებშიც. სანამ მსოფლიოში კაპიტალიზმში არსებობს, არ შეიძლება არ იყოს იდეური ბრძოლა მონაწილედგებობა. ჩვენ ყოველთვის, როგორც ამბობენ, ვსა ვულთკავით იმ მებრძოლებს, რომლებიც ამ წინააღმდეგ საქმეზე მიდიოდნენ, თვითონაც ვიღებდით და კვლავაც მივიღებდით მონაწილეობას ასეთ „ბრძოლებში“. ასეთი ბრძოლები გარდუვალია, იმიტომ რომ წარმოებს იდეური, პოლიტიკური ბრძოლა. ამ ბრძოლაში ნივტარლური არ შეიძლება იყვნენ. ხოლო თუ შენ გასურს ნივტარლური იყო, შორს დადევ, როცა აქტიურები იბრძვიან, თორემ მივხედვარ როგორც ამთავად, ისე იმთავად. (ტაშვი).

მას შემდეგ, რაც ბრძოლა დამთავრდა, ზოგიერთი იმთავად, ვინც იწყებდა „ჩხუბს“, ვინც იწყებდა ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, სურს რაც შეიძლება მალე დაივიწყოს, თუ ვინ არის ნამდვილად უწამო-წყები, ცდილობს გულზე ხელი დაიკრიფოს და თავი ისე დაიკრიფოს, როგორც ჩვეულებრივ მიხედანებს გამოხატავს ხატებზე და ასეთი სათნო ზოთი ისინი აცხადებენ, რომ თითქოს მათ ამოდ აწყენინეს. მაგრამ ამგვარ საჩივრის შეიძლება ვუპასუხოთ კითხვით: „რისთვის გვეყენ“ და უნდა დავძინოთ: „სწორად გვეყენ. ჩანს ციტა ციტებს, თუ საქ იქვეა“. (ტაშვი).

თქვენ შეიძლება იკითხოთ, რისკენ მოვიწოდებთ, ბრძოლაში ვინებამა გადავივება თუ შერიგობასკენ? ვი-პასუხებთ — ძალთა შეკავშირებისკენ პრინციპულ სა-ფუძველზე. ვფიქრობ, რომ ეს შეკავშირება უამრ დაიწყო, იგი სულ უფრო მტკიცდება.

ალექსი მაქსიმოვი-ძე გორაკი კარვად ეთქვა: „თუ მტერი არ ნებდება, — მას სპობენ“. ეს უღრმადეს სწორია. ეს კლასობრივი თვალსაზრისია, ჩვენ მას ვიცავდით და ვიცავთ პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლის შეფასების დროს. როცა საქმე ენება მუშათა კლასის, შრომების ხალხის ინტერესებს, მათ ბრძოლას ექსპლიატატორების წინააღმდეგ, არ შეიძლება მოუწოდებდეთ შერიგობისკენ. ასეთ შემთხვევაში შერიგობასკენ მოწოდება სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტულაცია. ეს არ არის ჩვენი ხაზი, ეს არ არის კომუნისტური, ბოლშევიკური ხაზი.

მაგრამ არის სწორი ანდაზა. წაქეუდოს ან სვემენო. და თუ იდეურ ბრძოლაში მონაწილედგვე ნებდება, თავს დამარცხებულად აღიარებს და განაცხადებს, რომ შხად არის დაღვეს სწორი პოზიციებზე, ზურგს ნუ შეაქცევთ მას, მიეცით ხელი, რომ მან შეძლოს მწყობრში ჩაღვრა, თქვენთან ერთად მუშაობა. (ხანგრძლივი ტაშვი).

მინდა ვთქვა, რომ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოე-ბაში, სადაც არ არიან მტრული კლასები და ჯგუფები, სადაც მთელი ცხოვრება შენდება ამხანაგობისა და მეგობ-რობის პრინციპებზე, უფრო გულისხმიერად უნდა მოვე-კიდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც „ეშმაკმა გზა-კვალა აუბნია“.

ჩვენ გვწამს, რომ არ არიან გამოუსწორებელი ადამი-ანი. თქვენ იცით ფეიქის ძერყინისა კეთილშობილად, მისი მეოდი, თუ როგორ ზრდინდა იგი სისხლის სამართ-ლის დამანაშაველსაც კი და არა მარტო თავის პოლიტიკურ მონაწილედგებობა. თქვენ იცით, თუ რა ნაყოფი გამოიღო ალბრინამ ამ მეთოდმა.

ჩვენს პირობებში ადამიანებს უნდა მიველდეთ გულის-ხმიერად, გვეჯერდეთ ადამიანებს. ვხედავდეთ მის საზო-ლოო მიზანს — ბრძოლას კომუნისტისათვის. უნდა აღვ-

ზარღოთ და გარდაქმნათ ადამიანები. პრინციპული კრიტიკის, იდეური ბრძოლის გზით უნდა ვცდილობდეთ შევაცავებოთ კომუნისტური ძალები და ის ძალები, რომლებიც მოპყვებიან ჩვენს პარტიას კომუნისზმის აწმენებისთვის ბრძოლაში. ეს მოვარაა. (ტ.შ.).

მე მინდა, ამხანაგებო, ვიამბოთ ერთი, ჩემი აზრით სანდერტისო, ფაქტი. სულ ცოტა ხნის წინათ, როცა სოჭში ვიყავი, მივიღე ერთი მოქალაქის წერილი, წერილის ავტორის გვარი არ დავასახელებ იმიტომ, რომ ეს საჭირო არ არის. ჯავა რაღაც დრო, როცა ეს კაცი მიტყვევდა და-დავანა ფეხზე. მაშინ შესაძლოა აზრი ექნებ მისი გვარის დასახელებას. წყვილითაზეთ იმ კაცისაგან მიღებულ წერილს, რომელიც მსჯავრდადებულ იყო ქურდობისათვის. აი ეს წერილი:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ე. ს. ხრუშჩოვს“

12 წელია ქურდობას ვეწევი. რისთვისაც მსჯავრდადებული ვიყავი ოთხჯერ, ტყუასანგელად 1954 წელს მომისჯალა ექვსი წელი, სასჯელი მოვიხადე. ვანათვისუფლებენ შემდეგ ოჯახს დავუბრუნდი და სამუშაოდ მივეყვედი რადგალად. თვეში ვიღებდი 500-600 მანეთს. ბინის ქირას ვიღებდი 200 მანეთს თვეში და ვერ შევიძლი უზურუნგელ-მეყი ჩემი ოჯახი. ვალად დამეღო ბინის ქირა 400 მანეთი და კანტორისა 600 მანეთი. მიმდინარე წლის 25 მარტს დავტოვე ოჯახი: 4 წლის ქალიშვილი, დედა, ცოლი (ცოლი სამშობიარო სახლშია ახალშობილთან ერთად) და წავედი იოლ ცხოვრებაზე ფიქრით. მაგრამ ჩემი ძვილი დაწამაულებრივი ცხოვრების დაწყება არ შემიძლია და ვერც ოჯახს დავუბრუნდები, რადგან იგი უფულოდ და ვალგზში დავტოვე. ამ ხუთ დღეში, რაც მე წავედი, არც ერთი დანაშაული არ ჩამიდენია.

მე არ მანერბა პასუხისმგებლობა და ვთხოვთ მიპასუხოთ რჩევით, როგორ მოვიქცე, მე დაველოდები ყოველდღე ამ დროის განმავლობაში, რამდენად ნებისყოფა მე-ყავა, დაველოდები საუბარს თქვენთან. თუ საჭიროდ მიჩნევთ ჩემს დაბატრებებას, ამის თანახმა ვარ.

ხელმოწერა.“

ეს იყო სოჭში. მე მოვიწვიე წერილის ავტორი საუბრისათვის. გაიცანით ერთმანეთი. როცა მისი გვარი გაეცნო, ვთხოვარი, რომ წინათ ვიცნობდი ასეთი გვარის ერთ გენერალს.

წერილის ავტორი იყო ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდაათი წლისა. საუბარში იგი ჭკვიანი და სასიამოვნო იყო. მან მიამბოთ თავის თავზე, თუკის ცხოვრებაზე, როგორ იყო-კარგა მამა, იმ წრეზე, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მასზე, იგი ამბობდა:

„ვაბოთ ჩემი მდგომარეობა, მე შემიძლია მტვირთავად ვიყოფი, ხელავე — ღონიერი კაცი ვარ. მაგრამ არ მიშევენი ამ სამუშაოზე, მიყურებენ როგორც ქურდს. მტვირთავები კარგად იღებენ და მეც შემიძლია კარგი ხელ-ფასი მიმიღო, მაგრამ არ მენდობიან. ამ ბოლო დრომდე ბრძოლაში ვეუშვამდი. სხვები ბრძოლაში მეტს იღებენ, ვიდრე მე, მიყურებენ როგორც ქურდს და ამიტომ ნაკლებ კვალითიყურებ საბუშაოს მალეფილზე. რა გენა ახლა, როგორ მოვიქცე ოჯახს? ბინას არ მალეფილზე. ვცხოვრობ კერძო ბინაში, სახელწოდებით ბინა რომ მქონდეს, ნაკლებს ვაღა-ვიხილდი. დამებმართე. პირობას ვაძლევეთ, რომ პატიო-ნადი ასეც ვიყენებ, დავამტკიცებთ ამას.“

ამ კაცს რომ მოვუსმინებ, რომ ვესაუბრო, დავუხვერე. იგი კარგი კაცი მეჩვენება. იქნებ რღებრალურად მივუდგე ამ კაცს, მაგრამ შესაძლებელია მასთან საუბარი. დავუხვერე მას, და მინდა ვიფიქრო, რომ არ მომბატყუებს. (ხანგრძლივი ტაშ).“

— ასე უნდა ჩემგან, რით შემიძლია დავეხმაროთ? — ვითხებ მას.

— დამებმართე, რომ შევეძლო ოჯახის შენახვა, —

თქვა მან. — ეს უწინარეს ყოვლისა. მინდა დავუბრუნდეთ ცოლ-შვილსა და დედას.

— კარგი, შევეცადე დავეხმაროთ, — ვუპასუხებ მას. — დავუხვერე პარტიის საქალაქო კომიტეტის მდი-ვანს. ვთხოვ მას, რომ ყურადღება მოვაკციე, სამუშაოზე მოვაწყო, დავებმარო კვალითიყურების შექმნაში, რომ შევლით მეტი ხელფასის მიღება. მაგრამ ეცადეთ პარტიოს-ნად იშუალოთ, შემდეგ მე ვთხოვ, რომ კრედიტ მოვცენ (წარმოიღვივებ, ყოველ ქურდს კრედიტ მივცემ) (სიცი-ლი, ტაშ). ეს შესაძლოა მხოლოდ ჩვენს საქმეთა პირო-ბებში. (ტაშ).“

თქვენ მოვცემენ კრედიტს, რომ აიშენოთ პატარა სახ-ლი, ას ვთხოვ, თუ ეს შესაძლებელია, რომ მოვცენ ბინა, მაშინ ნაკლებს ვადაიხებთ. (ცხოხილია, რომ ჩვენმა ბინის ქირა ყველაზე მეტრად მსოფლიოში; მე ვიტყვოდი, ეს სიმ-ბოლოე ქირაა, იმიტომ რომ ეს სახსრები, ალბათ, არ ყოფნის ამ სახლის მეგობრის შენახვას).“

ჩემმა თანამატყურებ მიზნია:

— ეს ძალიან კარგი იქნება. დიდი მადლობელი ვიქნე-ბი თქვენი.

დარწმუნდა რა საუბრის დროს, რომ მისი სუერათ, რომ მას ადამიანურად ელპაპარკებია, წერილის ავტორმა ასე-თი თხოვნით მომბატყა.

— ამხანაგ ხრუშჩოვ, იცით, რომ მე ძალიან მინდა თქვენთან ერთად სამასსოვრად ფოტოსურათი გადავიღო. (სიცილი, ტაშ).“

მე ვუპასუხე:

— ეს შეიძლება, დავაკეთო უფრო ახლოს, რომ ფოტო-გრაფისათვის უკეთესი იყოს.

ჩვენ დავეკეთეთ, გადავიღეს ფოტოსურათი. მე დავ-პირდი, რომ ვაუფუზავინდი მას სურათს. ეს სურათი მას გაუტუნა. (ტაშ).“

საუბრის დასასრულს გამოირკვა, რომ თანამოსაუბრე ერთი კაპიციკ არ ჰქონდა.

მაშინ მე მას ვუთხარი:

— მე დავეხმარებო, რომ თქვენ შეძლოთ არა მარტო ჩახვიდეთ შინ, არამედ საჩუქრებაც მიუტანოთ ცოლ-შვილს.


იგი შინ დაბრუნდა, მას დაეხმარნენ სამუშაოზე მო-წყობაში. მე ვითხვე გაგეთ, როგორ მუშაობს იგი, რო-გორ იქცევა. ვამხობს, რომ მუშაობს მტვირთავად და კარგ ხელფასს იღებს. იიხვავა ვადმოუცათ, რომ კარგად ცხოვრობს. მადლობა შემოთავადა დახმარებისათვის. (ხანგრძლივი ტაშ).“

აი ამხანაგებო, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ფაქტი. წერილის ავტორი ცოცხალი, კონკრეტული ადამიანია.

ამ წერილსა და მის ავტორს შეიძლებოდა სხვადასხვა-ნაირად მივდგომოდით. წერილი ხომ იმ კაცმა დაწერა, რომელიც ოთხჯერ გაასამართლეს კომუნისტისთვის. იგი სამუშაოზე მიხვერე, მას კი დატოვა სურათი, კვლავ წა-ვიდა საქურდლად, ახლა კი სურს ჩემთან შეხვედრა, — სტატეით ხელი, მიკითვო პასუხისგებაში. ეს ერთი მიდგომაა.

რას მიხვერდა ასეთი მიდგომა ამ ადამიანს? იგი მას რქალედ მიიყვანდა, რომ სწორ გზას აცდენლით კაცს საბე-რობილოში აიმაღლებდა ქურდის კვალითიყურების. ჩვენი კი გვინდა კაცი ჩვენი საქმისათვის. იმისათვის, რომ ეს კაცი სწორ გზაზე დავეყენებინა. საჭირო იყო სხვა მიდგომა, უნდა ერწმუნო ადამიანს, მის საუკეთესო თვისებებს. შე-უძლია თუ არა ამ კაცს იყოს კომუნისტური შეხედობის აქტიური მონაწილე? შეუძლია, ამხანაგებო! (მჭუხლივი ტაშ).“

ჩემთვის ძნელია დავუხვედრო ასეთი შემთხვევების აღ-წერაში ყველასათვის პატოვსაცემ და ცხოხილ ავტორს „მედაგოგოური პოეზისა“ ანტონ სიმონის-ძე მკაცრენის. მან გვიჩვენა ადამიანის კეთილშობილება, ადამიანისადმი რწმენის დიდი ძალა. და ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, როგორ ასწილად აანაზღაურებს რწმენა ადამიანისადმი იმით, ვის მიმართაც გამოჩენილი იყო ყურადღება და ნდო-



საბჭოთა მწერლობის შესამე ყრლობის სხდომათა დარბაზი

ბა — ყოფილმა სისხლის სამართლის დამნაშავეებმა და მკვლელებმა. (ტაში).

ზოგს შეუძლია ეძებოს უხეში ანალოგია ჩემს შედარებაში. მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენ სწორად ამბობდით. ეს ფაქტი წერილის შესახებ არ ეხება იმას, რაც განიხილეთ. ეს ფაქტი იმისათვის მოვიყვანე, რათა გიჩვენოთ, რომ ადამიანის აღზრდისა და გარდაქმნის საკითხები უმნიშვნელოვანესი საკითხებია. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან დამნაშავეებიც და მკვლელებიც.

უცხოელს, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვა და შეიტყობს ამგვარ ფაქტებს, შეუძლია თქვას, ისინი კომუნისტურად აწინებენ. მაგრამ მე თვითონ ვხანებ, რომ მათ მკვლელები პაუთო. მაგრამ ჩვენ ხომ სრულიად არ ვაპირებთ, ვაპტივით, რომ ბოლო მოვუღებთ წარსულის ყველა გადმანათს, შევძლიათ ყველა ადამიანის გარდაქმნა. მაგრამ ყველა, ვინც უფრო ახლის გაეცნობა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას, შეიტყობს, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად არ არის დამანასიათებელი დანაშაუვით არსებობა, რომ მისთვის დამანასიათებელია ადამიანთა შეგნებულობის სწრაფი ზრდა. ზოგიერთებს შეუძლიათ ითხოვონ: იქნებია თუ არა დამნაშავეები კომუნისტურ საზოგადოებაში? მე პირადად, მაგალითად, როგორც კომუნისტი, ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ისინი არ იქნებიან. (სიცილი). დანაშაული არის გადახრა საზოგადოებაში ყოფაცქევის საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან, რასაც ხშირად იწვევს ადამიანის აშლილი ფსიქიკა. იქნება თუ არა დაავადება, ფსიქიკური აშლილობა კომუნისტურ საზოგადოებაში ცალკეულ ადამიანთა შორის? ალბათ იქნება. თუ ეს იქნება, შეიძლება აყოს დანაშაულიც, რაც დამანასიათებელია არანორმალური ფსიქიკის ადამიანებისათვის, პირადად ფსიქიკატობის მიხედვით ხომ არ უნდა ვიმსკელით კომუნისტურ საზოგადოებაზე? (სიცილი. ტაში). იმათ, ვინც ამგვარი „საფუძვლი“ დაიწყებდა მოლოდინს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, შეიძლება ვუთხრა, რომ ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც ებრძვიან კომუნისტს, მის კეთილშობილურ იდეებს, მაგრამ ეს არ ადამიანებს, როგორც ჩანს, აშკარად არანორმალური ფსიქიკური მდგომარეობა აქვთ. (სიცილი. მუხაბარ ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო! აქ ბევრი მწერალი გამოვიდა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვგეძინდა შესაძლებლობა მოგვესმინა ყველა თქვენი გამოსვლა. მაგრამ ზოგიერთი მათგანი მოხსენიებთ და წაგიკითხეთ. ზოგიერთი რამეში თავს ეთვლით მოვალეებდ და შეეცდებით წაგიკითხოთ თქვენი სიტყვები, გაეცნოთ თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს.

ფიქრობ, რომ ჩემს გამოსვლაში არ უნდა დავიწყო

თქვენი ნაწარმოებების გარჩევა. როგორც იცით, მე ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ, ამიტომ არც ვგრძნობ თავს მოვალედ გაგაჩინო თქვენი ლიტერატურული შრომები.

ზოგიერთი ფაქტი მოწმობს, რომ თვით თქვენც არცთუ ძლიერ ხალისით აკრიტიკებთ ერთმანეთს. არა მგონია, რომ ეს უფროდ ეს არასასამოფრო საქმე მე დამაკისროთ, თვითონ წერთ უწინარეს ყოვლისა თვითონვე უნდა აკრიტიკებდით დაწერილს. (სიცილი. ტაში). თქვენ ქარაღ იცით, რომ, ნაწარმოებების გარჩევისას, ერთი უნდა აქოთ, მეორე გააკრიტიკოთ, ხოლო მესამე მუშაში დააყენოთ. ხომ არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიღოთ, რომ აი მოვიდა კაცი და მოიტანა ორი ტომარა, ერთშია ტუბილი კამფეტები, მეორეში კი მწარე აბები, და დაიწყო დარიგება — ერთს ერთი კამფეტი მისცა, მეორეს ორი კამფეტი, მესამეს კი — მწარე აბი. უფრო სწორი იქნება, თუ თვითონვე კამფეტებსაც დაარიგებთ და აბებსაც მიიღებთ, განსაზღვრავთ, როდის არის ეს საჭირო და ვის რა ერგება. (გაოცოცხლება დარბაზში).

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ყოველდღიური ღრმა გარჩევა ჩვენი ლიტერატურის წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. აი ამიტომ უფლებმა არა გაქვთ თავი აარიდოთ თქვენი მოძებნის კრიტიკას და მათ ნაწარმოებთა გარჩევას, რას ნიშნავს ლიტერატურული კრიტიკა? ეს არის სამწერლო იარაღის გაღვსვა, ნაწარმოების ღრმა გარჩევა, ეს არის ლიტერატორთა ოსტატობის სრულყოფა. ჩემთვის საჭირო არ არის დავწერო ლეონტი ვილაძეებთან ამაზე, თქვენ თვითონ ქარაღ იცით ასეთი საკითხების მიმართ მნიშვნელობა. ჩვენ ვესვრას და ხალხი ეკითხება ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, კარგ ნაწარმოებებს, რომლებშიც მოგვიწოდებენ ბრძოლისათვის, მოგვიწოდებენ კომუნისტების გამარჯვებისათვის.

თქვენ ალბათ იცით, რომ მე მოუსვენარი ხასიათის კაცი ვარ, არ მიყვარს ღვევა, ყოველი კაცი თავის პოსტზე აქტიური უნდა იყოს, ლიტერატურული დიდი მკვნიბარება უნდა იყოს. აქტიური საქმიანობა, ბრძოლა მაღალი იდეალებისათვის, ახალი ცხოვრების შექმნისათვის — ყოველთვის ეს კაცს მოსწონს. კაცი რომ პასიური იყოს, ჩვენ ვერ შევძლებდით წინსვლას. მხოლოდ მილიონობით და მილიონობით ადამიანის ბრძოლა ახალი ცხოვრების შექმნისათვისა, აქტიური, შთაგნებული და მკვნიბარე ბრძოლა გვაძლევს საშუალებას სწრაფად ვიაროთ წინ და გავიმარჯვოთ. საბჭოთა, პასიურმა, კულტურულმა, ფლგენტურმა და ადამიანებმა დაწერიეს ნაწარმოებები, რომლებიც განსაკუთრებული იქნებიან მკვნიბარებით და მოგვიწოდებენ საგმირო საქმეებისათვის. ან იქნებ ეს შეიძლება? (გაპო-



**ცოცხლეა დარბაზში).** ამ საკითხზე კონკრეტული მავალთობები არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საუკეთაო შესაძლებელი იყოს.

ამხანაგებო! ჩვენ ვამაყობთ უფროსი თაობის შესანიშნავი მწერლებით, ვამაყობთ ახალგაზრდობით, რომელიც მწვერვალს აღწავს. საჭიროა ყურადღებით, მზრუნველობით მოვეყრებით ახალგაზრდობის შემოქმედებას. მინდა რამდენიმე შენიშვნა გამოეთქვა დამწვერვლებით მუშაობის შესახებ. თუ ახალგაზრდა მწვერვლებითი ძალები არ იქნენ, ლიტერატურა მთლიანად ვერ გაზრდება. ახალგაზრდობა ჩვენი ცვლავა. თვითუფროსი იწყებს რაღაც კერძოეთ, ხოლო შემდეგ გაეაზრდებოდა, შექმნის ღიღ, ცარც ნაწარმოებებს და მის ნიჭს აღიარებენ. ნიჭი ერთბაშად როდი იბადება, იგი თანდათან უმჯობესდება.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდაში ჩვენ არსებითი ნაკლი ვეაქვს. ეს ნაკლი, ჩემი პირობით, ის არის, რომ ჩვენში ხშირად ქმნიან სათბურის პირობებს დამწვერვლები მწერლებისათვის. (ტაშვი).

ვახსენებ, რა მკაცრი პირობები იყო მეფის რუსეთში საერთო ადამიანისათვის, ხოლო მით უმეტეს მწერლისათვის, მოზარდენი ადამიანისათვის, რომელიც ვერ ურჯიდებოდა ძველი საზოგადოების მანქანებში. თვითონ იყო აღმართული და, გამონატყვდა რა თავის აღმართობას ნაწარმოებებში, აღაშფოთდა და მილონობით ადამიანს, რაზმავე უკეთესი ცხოვრებისათვის საბრძოლველად, ცნობილია, თუ რა ძნელი იყო იმ დროს შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის გზის გაკავება.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად პირობები ძირეულად შეიცვალა. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში შექმნილია განსაკუთრებული ადამიანის ყველა შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ნიჭის ყოველმხრივი გაფორმებისა და გამოვლენისათვის. ჩვენ გვსურს, რომ ახალგაზრდობის შემოქმედება უფრო მეტად ვითარდებოდეს. ჩვენს სამუშაო წრეში მეტი ტალანტი იბადება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ ნიჭიერი ადამიანების ზრდას. მაგრამ ხელფონურად არ უნდა მოვეყვითოთ ისინი მიწას, იმ წრეს, რომელშიც ცხოვრობენ.

მე სიმინდის დამცველად მალაიკარბი. მინდა მოვიყვანო მაგალითი სიმინდის მოყვანის ნორმალებს და სათბურის პირობებში და ერთგვარი ანალოგია ვაგვატარო ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდაში. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაშვი).

სიმინდის მოყვარული ბევრია: იგი უყვართ ქართველებს, სომხებს, უკრაინელებსა და სამხრეთი ოლქების რუსებს. განსაკუთრებით ძვირფასია მუხრანის სიმინდი. ვისაც ის არ უყვამია, არ იცის, რა გემრიელი საჭმელია. პოდა აი ადამიანებმა, რომლებსაც სიმინდის მოყვანის გამოცდილება არა ჰქონდათ, მაგრამ ძლიერ სურდათ იგი უფრო აღერ მოეყვანათ, დაიწყეს მისი ჩითილის გამოცემა სათბურებში. მასხობს, ერთმა აკრონომმა, იცოდა, რა რომ მე გატაცებით ვუწვევ აკრითიას სიმინდს, აღმათ ვაღაწავებოდა ესაი მოყვანის ჩემთვის: მან სათბურში გამოიყვანა სიმინდის ჩითილი და შემდეგ მინდორში გადავარო. როცა მე მივიღე ამ ყანის სანახავე, შემდეგი სურათი ვნახე: დათესილი სიმინდი ჯერ არ ამოსულყო, ხოლო სათბურისა დაღარავალი სიმინდი 20-30 სანტიმეტრზე გაზრდილიყო. შეხვედრე ამ ნათესებს და აკრონომს ვუთხარი:

— იცი, რომ თქვენ სისულელე ჩაიდინეთ?

— როგორ? რატომ? — შეკითხვა იგი.

მე ვუპასუხე:

— გარდაცხად დათესილი სიმინდი, თუმცა ჯერ არ ამოსულა, მაგრამ გაიზრდება, განვითარდება და კარგ მოსავლად მოგვყვამს, სათბურისა და მინდორში სიმინდი კი დატყენება, კარგ მოსავლას არ მოგვცემს, რადგან იგი სათბურის პირობებში გამოყავდათ. შეხვედრე გადარდა სიმინდს, იგი უფრონი, ვითილია, სიმწვანე არა აქვს, როგორც მზით არა აქვს გარუჯული სახე იმ ადამიანს, რომელიც ჰსოლავს იფარებს. რა თქმა უნდა, ეს მცენარე ვერ

გაუძლებს ყველა განსაცდელს, რომლებსაც თავის განვითარებაში შეხვდება.

რამდენადმე ზოგიერთი ჩვენი დამწვერვლები მწერალიც მაგონებს სიმინდს, რომელსაც, სანამ გრუნტში ვაღარავლენენ, სათბურში ზრდობენ. არის ხოლმე ასე: დაწერს კაცი პირველ მოთხრობას ან ლექსს და ერთბაშად ატყდება მხამირი, რომ ამოიწინადა ახალი ვარსკვლავი, ახალი ნიჭი. (გამოცოცხლება დარბაზში. ხანგარალიც ტაშვი). ეს ამხანაგი, რომელსაც პირველი ნაწარმოები დაწერა, მწერალს ან პოეტს არ უწოდებდა თავის თავს, მან მხოლოდ სკდა თავისი ძალები, მასზე კი უკვე ბუკი და ნაღარა დაწერის, ეს ნიშნები, აღმასია, რომელსაც კაცობრიობა მიიღობდა, იგი მწერალთა კავშირში შეეყავით. თუ ასეთი დამწვერვლები პრიონიკური ცხოვრობს, მაშინ ამბობენ, რომ ზნა უნდა მიეცეს მოსკოვში ან რესპუბლიკის დედაქალაქში. ეს ახალი ვარსკვლავია და განა შეუძლია პრიონიკიანი იმყოფებოდეს?

